ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 01-03-54

ქ. თბილისი 19 აპრილი 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის **მანანა რატიანის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: შპს „შენი სახლი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზვიად ხმელიძის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად");
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი რ.თაბუკაშვილის ქ №14;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404517867;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", კოდი: TBCBGE22 , ა/ა: GE58 TB70 0223 6080 1000 07.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;
1.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შენობის მე-4 სართულზე არსებული ოთახის გადატიხვრის და სარემონტო სამუშაოს (CPV-45442180 - სარემონტო სამუშაოები) შესყიდვა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 შესასყიდი საქონლის საერთო ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 4997,93 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 93 თეთრი) ლარი;
3.3 შესასრულებელი სამუშაოს დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;
3.4 დაფინანსების წყარო: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესრულებული სამუშაო იქნება უნაკლო.

5. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

5.1 სამუშაოების დასრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით;

5.2 სამუშაოს შესრულების ადგილი – ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N 4.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერს რატი ღვამბერიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად „მიმწოდებელს" აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხარისხიანად შეასრულოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული სამუშაო;

8.3.3 უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადაში;

8.3.4 სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.3.5 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით, რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

8.3.6 მიმწოდებელმა სამუშაოს განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესასაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

8.3.7 სამუშაოების დასრულებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8.3.8 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.9 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.10 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.11 წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.3.12 უზრუნველყოს საგარანტიო მომსახურების მაღალხარისხიანი გაწევა.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 მოთხოვოს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. საგარანტიო მომსახურება

9.1 შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება საგარანტიო მომსახურება 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან;

9.2 საგარანტიო ვადაში მიმწოდებელი მოვალეა უფასოდ განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ნაკლის აღმოფხვრა;

9.3 საგარანტიო მომსახურება უნდა განხორციელდეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. შესრულებული სამუშაოს ხარვეზის მიზეზის დასადგენად კომპანიის

წარმომადგენელი ცენტრში უნდა გამოცხადდეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა;
9.4 მიმწოდებელი თავისუფლდება ზემოხსენებული მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დადგინდა, რომ დაზიანება შემსყიდველის პერსონალის ბრალითაა გამოწვეული.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით;
10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს სამუშაოების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;
11.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
11.3 მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;
11.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერი გიორგი ფერაძე.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;
12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
12.4 შემსყიდველს აგრეთვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
12.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
12.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
12.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5 ამ მუხლის 12.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმდაგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ფორსმაჟორი.

14.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3 მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

17.6 ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან/და შტამპი;

17.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „შენი სახლი"
მანანა რატიანი დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი	**ზვიად ხმელიძე** დირექტორი

სარემონტო სამუშაო								
№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		თითოეული სამუშაოს ჯამური ღირებულება
				ერთეულის ფასი	საერთო ფასი	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მინის ტიხრის დემონტაჟი	კვ/მ	18.00		0.00	5.00	90.00	90.00
2	ჭერზე თაბაშირმუყაოს ფილის მონტაჟი	კვ/მ	4.00		0.00	10.00	40.00	40.00
	თაბაშირმუყაოს ფილა	ცალი	2.00	11.00	22.00		0.00	22.00
3	კედელზე თაბაშირმუყაოს დემონტაჟი-მონტაჟი	კვ/მ	7.00		0.00	10.00	70.00	70.00
	თაბაშირმუყაოს ფილა	ცალი	3.00	11.00	33.00		0.00	33.00
4	თაბაშირმუყაოს ორმაგი ტიხრის მოწყობა	კვ/მ	14.00		0.00	15.00	210.00	210.00
	თაბაშირმუყაოს ფილა	ცალი	20.00	11.00	220.00		0.00	220.00
	პროფილები	ცალი	24.00	8.00	192.00		0.00	192.00
	საიზოლაციო მინაბამბა	ცალი	2.00	48.00	96.00		0.00	96.00
	თვითმჭრელი (შურუფი)	შეკვრა	1.00	13.00	13.00		0.00	13.00
5	მინის ტიხრის მონტაჟი	კვ/მ	4.00	55.00	220.00	45.00	180.00	400.00
6	მინაზე არაკალის გაკვრა	კვ/მ	4.00	30.00	120.00	25.00	100.00	220.00
7	კედლების და ჭერის დამუშავება შეღებვა	კვ/მ	68.00		0.00	8.00	544.00	544.00
	საღებავი	ცალი	2.00	51.00	101.50		0.00	101.50
	ფითხი	ტომარა	3.00	15.00	45.00		0.00	45.00
8	მდფ კარი	ცალი	2.00	254.00	508.00	80.40	160.80	668.80
9	ლამინატის დაგება	კვ/მ	14.00		0.00	10.00	140.00	140.00
	ლამინატი	კვ/მ	15.00	17.00	255.00		0.00	255.00

1	2	3	4	5	6	7	8	9
10	ლამინატის პლინტუსის მოწყობა	გრძ/მ	18.00	**4.00**	**72.00**	**4.00**	**72.00**	**144.00**
11	დამხმარე მასალა	კომპ	1.00	**127.00**	**127.00**		**0.00**	**127.00**
							სულ ჯამი:	**3631.30**
							ზედნადები ხარჯი 8 %	290.5
							ჯამი	**3921.80**
							გეგმიური დაგროვება 8 %	313.74
							ჯამი	**4235.54**
							დღგ 18%:	762.39
							სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:	**4997.93**

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მანანა რატიანი

დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს „შენი სახლი“

ზვიად ხმელიძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „შენი სახლი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი — */მ. რატიანი/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი — */რ. ღვამბერია/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერი — */გ. ფერაძე/*

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე — */დ. ხვედელიძე/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი — */ი. თირქია/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შესყიდვების ჯგუფის უფროსი — */ნ. გიგოლაშვილი/*